ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 605

25 ნოემბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12-ში (ს/კ. №01.19.20.024.030) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა/ები/ავტოსადგომი/ები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

ა) "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12-ში (ს/კ.№01.19.20.024.030) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა/ები/ავტოსადგომი/ები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 17 ნოემბრის №22.1768.1898 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა/ები/ავტოსადგომი/ები) პირდაპირი განკარგვის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,თბილისის განვითარების ფონდის" (ს/ნ. 404384974) მიერ სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით შერჩეულ მშენებლობის განმახორციელებელი პირისათვის (შემდგომში - მშენებლობის განმახორციელებელი პირი) გადაცემის მიზნით პრივატიზების თაობაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,თბილისის განვითარების ფონდის" (ს/ნ. 404384974) მიმართვის

საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თითოეული ინდივიდუალური უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა/ები/ავტოსადგომი/ები) პრივატიზებასთან დაკავშირებით.

გ) საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს ქალაქ თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12 (ს/კ.№01.19.20.024.030) ავარიული სახლის ჩანაცვლებისას სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადების დროისათვის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად დადგენილი ღირებულება და აღნიშნული ჩაითვალოს გადახდილად მშენებლობის განმახორციელებელი პირის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისი ოდენობით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა თითოეულ ინდივიდუალურ უძრავ ქონებასთან (საცხოვრებელი ბინა/ები/ავტოსადგომი/ები) მიმართებით ძალაშია, თითოეული ინდივიდუალური უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა/ები/ავტოსადგომი/ები) პრივატიზებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,თბილისის განვითარების ფონდის" (ს/ნ. 404384974) მიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქონების მართვის სააგენტოში ყოველ კონკრეტულ საკადასტრო ერთეულზე/ერთეულებზე მიმართვის წარდგენის დღიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე